ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5546292

ნომერი: AR1839300

თარიღი : 29.07.2021

გაცემის თარიღი : 12.08.2021

გაცნობის თარიღი : 12.08.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან ცაავა პ/ნ 62001038422
- სოხუმი ცხაკაიას ქ. N 64

ორგანიზაცია:
- შპს გეო ბილდერსი კოდი: 405092652

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 29 ივლისის AR1839300 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.11.17.006.680 მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
- გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ 1) და სატრანსპორტო ზონა 1(ტზ 1). სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 12 აპრილის დ16.01211023 ბრძანების საფუძველზე გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს გზების კვეთაზე, გზის პირა გამწვანებული სივრცისთვის გამოყოფილ არეალში და საკმაოდ გამწვანებულია. საკვლევი არეალი წარმოადგენს ძველ, დაგეგმარებულ უბანს, სადაც ნაკლებად გვხვდება ახალი მშენებლობები და ძირითადად შენარჩუნებულია უბნის გეგმარებითი სტრუქტურა და ხასიათი. (ახალი მშენებლობები (საცხოვრებელი ფუნქციით) გვხვდება საპროექტო ნაკვეთიდან 350-400 მეტრში). საპროექტოდ წარმოდგენილი ნაკვეთი ატარებს მკვეთრად ჩამოყალიბებულ სარეკრეაციო ხასიათს, მომიჯნავე ტერიტორიასთან ერთად ქმნის ერთგვარ ბუფერულ ზონას გზასა და მიმდებარე განაშენიანებას შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.